Shape the future with confidence

EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

იანვარი - მარტი 2026

სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და საგნების აკრძალვა

- საქართველოს მთავრობის №503 დადგენილებით, 2026 წლის 1 აპრილიდან აიკრძალა სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი, პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების, ჭიქებისა და მათი თავსახურების რეალიზაცია; ხოლო, მათი იმპორტი და წარმოება აკრძალულია 2026 წლის 1 იანვრიდან.
- №503 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა დაჯარიმდება 1,000 ლარით, ხოლო განმეორებითი ქმედება - 2,000 ლარით.
- საქართველოს მთავრობის №106 დადგენილებით, 2026 წლის 1 ივლისიდან იკრძალება კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის სასმლის მიწოდება პლასტმასის ბოთლებით.
- №106 დადგენილებით, 2027 წლის 1 თებერვლიდან იკრძალება პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული სასმლის წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტი და ბაზარზე განთავსება; თუმცა, საქართველოს პრემიერ მინისტრის 2026 წლის 8 აპრილის განცხადებით, აღნიშნული შეიძლება გადავადდეს ოთხი წლით.
- №106 დადგენილებით გათვალისწინებულია სპეციალური გამონაკლისებიც.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 14/11/2025

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 02/12/2025

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 13/03/2026

ცვლილებები საიმიგრაციო კანონმდებლობაში

- 2026 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა ცვლილებები „შრომით მიგრაციის შესახებ“ კანონში და ამოქმედდა დადგენილება №70 „შრომით იმიგრანტსა და თვითდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის“ შესახებ.
- ცვლილებებით უცხოელი პირები ვალდებულები არიან, საქართველოში შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად მოიპოვონ:
  - შრომითი საქმიანობის უფლება; და
  - D1 კატეგორიის ვიზა ან შრომითი ან IT ბინადრობის ნებართვა.

- უცხოელ პირს არ დასჭირდება D1 კატეგორიის ვიზა და შრომითი ან IT ნებართვა, თუკი ის შრომით საქმიანობას სრულად დისტანციურად ახორციელებს და არ საჭიროებს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას.
- განცხადებას შრომითი საქმიანობის უფლების მინიჭების თაობაზე განიხილავს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.
- დასაქმებულისთვის შრომითი საქმიანობის უფლების მინიჭების თაობაზე განცხადებას წარადგენს ადგილობრივი დამსაქმებელი, ხოლო თვითდასაქმებული უცხოელის შემთხვევაში - თავად თვითდასაქმებული უცხოელი.
- განცხადების განხილვის ვადაა 30 კალენდარული დღე (საფასური - 200 ლარი), ხოლო დაჩქარებული ადმინისტრაციული წესით განხილვის შემთხვევაში - 10 სამუშაო დღე (საფასური - 400 ლარი).
- განცხადების წარდგენამდე 10 სამუშაო დღით ადრე ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია ვაკანსია განათავსოს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ვებგვერდზე. ადგილობრივ დამსაქმებელს უფლება აქვს წარადგინოს განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადაში სააგენტო ვერ უზრუნველყოფს შესაფერისი ადგილობრივი კადრის მოძიებას.
- დადგენილებით განსაზღვრულია საგამონაკლისო შემთხვევები, რა დროსაც ადგილობრივი დამსაქმებელი თავისუფლდება ვაკანსიის განთავსებისა და ადგილობრივი კადრის შერჩევის პროცედურისგან.
- უცხოელი დასაქმებულებისთვის, რომლებიც 2026 წლის 1 მარტის მდგომარეობით რეგისტრირებულები იყვნენ შრომით იმიგრანტთა ბაზაში (www.labormigration.moh.gov.ge-ზე), ცვლილებებთან შესაბამისობის ვადად განისაზღვრა 2027 წლის 1 იანვარი, ხოლო თვითდასაქმებული უცხოელებისთვის, რომლებიც 2026 წლის 1 მარტის მდგომარეობით უკვე ეწეოდნენ შრომით/სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში - 2026 წლის 1 მაისი.
- ცვლილებებით განისაზღვრა შრომითი საქმიანობის უფლების მინიჭებაზე უარის თქმისა და უფლების შეწყვეტის საფუძვლები და სხვა პროცედურული საკითხებიც.
- 2026 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა კანონპროექტი №283/3-XIმპ, რომლის მიღების შემთხვევაში დაზუსტდება საქართველოში შრომითი მიგრაციის წესებსა და პირობებთან დაკავშირებულ საკითხები.
- კანონპროექტის თანახმად, შრომითი საქმიანობის უფლებას არ საჭიროებს საქართველოში დროებითი ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საქმიანობების განმახორციელებელი უცხოელი პირები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება კონკრეტულ მოკლევადიან პროექტს. ამგვარი მოკლევადიანი პროფესიული საქმიანობების ჩამონათვალი, ვადები და კრიტერიუმები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.
- კანონპროექტის მიხედვით დაზუსტდება, რომ უცხოელი პირი არ საჭიროებს შრომითი საქმიანობის უფლებას, თუ იგი საქართველოში შრომით საქმიანობას ან მომსახურების გაწევას ახორციელებს არარეზიდენტი დამსაქმებლის, ან მომსახურების მიმღები პირის სასარგებლოდ და მისი საქმიანობა უკავშირდება ამ არარეზიდენტი პირის საქმიანობას საქართველოს ფარგლებს გარეთ.
- კანონპროექტით ზუსტდება, რომ საქართველოში საწარმოთა ხელმძღვანელობითი (ან აუდიტის კომიტეტის) საქმიანობის განმახორციელებელი უცხოელი პირები არ საჭიროებენ შრომითი საქმიანობის უფლებას, თუ შესაბამისი საწარმო აკმაყოფილებს აქტივების, შემოსავლისა და თანამშრომელთა რაოდენობის დადგენილ კრიტერიუმებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მიეკუთვნება პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის საწარმოს.
- კანონპროექტის მიღების შემთხვევაში ცვლილებები ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 26/06/2025

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 20/02/2026

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 01/04/2026

ცვლილებები „გრანტების შესახებ“ კანონში

- 2026 წლის 4 მარტს საქართველოს პარლამენტმა „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები მიიღო. თანმდევი ცვლილებები შევიდა სხვა კანონებშიც.
- ცვლილებებით გაფართოვდა გრანტის განმარტება და გრანტად ასევე მიიჩნევა:
  - სხვა სახელმწიფოს, სხვა სახელმწიფოს მოქალაქის ან იურიდიული პირის მიერ საქართველოს მოქალაქისთვის, ბინადრობის უფლების მქონე პირისათვის ან იურიდიული პირისათვის გადაცემული

სახსრები, რომლის მიზანია პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე.

- სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული თავისი წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის გადაცემული სახსრები, გარდა ბიზნეს საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული ფულადი სახსრებისა.

- ცვლილებების მიხედვით, ამგვარი გრანტების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის თანხმობით.
- ცვლილებებით დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისთვის:
  - ფიზიკური პირი შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით, სამასიდან ხუთას საათამდე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთით.
  - იურიდიული პირი შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით ან/და ლიკვიდაციით.
- ცვლილებები ძალაში შევიდა 2026 წლის 4 მარტს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 04/03/2026

ცვლილებები „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“

- 2026 წლის 4 მარტს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებთან ერთად შეიცვალა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიც.
- მეწარმე იურიდიული პირები, რომლებიც საჯაროდ ახორციელებენ პოლიტიკურ აქტივობას, რაც არ არის დაკავშირებული მათ ძირითად სამეწარმეო საქმიანობასთან, დაჯარიმდებიან 20,000 ლარით.
- პოლიტიკურ აქტივობად ჩაითვლება ისეთი აქტივობა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე გავლენის მოხდენისკენ იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბდეს ან შეიცვალოს საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკა.
- იურიდიული პირების დაჯარიმებაზე უფლებამოსილი პირი იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
- ცვლილებები ძალაში შევიდა 2026 წლის 4 მარტს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 04/03/2026

ცვლილებები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონში

- 2026 წლის 31 მარტს საქართველოს პარლამენტმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.
- ცვლილებებით განისაზღვრა ადმინისტრაციული ორგანოები და კერძო სამართლის სუბიექტები, მათ შორის, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები, კომერციული და მიკრობანკები, ბიზნესოპერატორები, აფთიაქები და სხვა, რომლებიც ვალდებულები არიან, ხელმისაწვდომი გახადონ მათი ვებგვერდები და მობილური აპლიკაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.
- ცვლილებებით გათვალისწინებული ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების ხელმისაწვდომობის ვალდებულება არ ვრცელდება აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლებსა და მაუწყებლობის ტრანზიტზე.
- ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს მთავრობის ვალდებულება, 2027 წლის 1 მარტამდე მიიღოს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი და განსაზღვროს ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის ის მასალები, რომლებზეც არ გავრცელდება ახალი მოთხოვნები.
- ცვლილებები სრულად ძალაში შევა 2027 წლის 1 სექტემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 10/12/2025

ცვლილებები „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონში

- 2026 წლის 17 მარტს საქართველოს პარლამენტმა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.

- 2026 წლის 1 მაისიდან სამეწარმეო ვენახის გაშენებისათვის სავალდებულო იქნება ღვინის ეროვნული სააგენტოსგან თანხმობის მოპოვება.
- სამეწარმეო ვენახის გაშენებისათვის ღვინის ეროვნული სააგენტოსგან თანხმობის მოპოვების წესები საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრმა უნდა განსაზღვროს 2026 წლის 1 მაისამდე.
- ცვლილებები ნაწილობრივ ამოქმედებულია, ხოლო სრულად ძალაში შევა 2026 წლის 1 მაისიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 24/03/2026

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ სტაბილური ვირტუალური აქტივის პირველადი შეთავაზების წესი

- 2026 წლის 6 მარტს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ სტაბილური ვირტუალური აქტივის პირველად შეთავაზების წესი მიიღო.
- წესით განისაზღვრა სტაბილური ვირტუალური აქტივის ტიპები და მათი ძირითადი კრიტერიუმები, ასევე, კორპორაციული მართვის სტანდარტები და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება.
- წესის მიხედვით, სტაბილური ვირტუალური აქტივის პირველადი შეთავაზება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით.
- წესის თანახმად, შეთავაზების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების რეგისტრირებულ პროვაიდერებს.
- წესით დამატებით განსაზღვრულია ვირტუალური აქტივის სხვა კრიტერიუმები და ემიტენტის ვალდებულებები.
- ცვლილებები ძალაში შევიდა 2026 წლის 9 მარტს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 09/03/2026

საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის შესახებ

- 2026 წლის 5 მარტს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პირების მიმართ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის პროექტი გამოაქვეყნა.
- პროექტის მიხედვით, ერთი და იმავე დარღვევისთვის ფულადი ჯარიმა შესაძლებელია ერთდროულად დაეკისროს როგორც იურიდიულ პირს, ისე მისი მმართველი ორგანოს წევრებს, პარტნიორს (აქციონერს) ან დასაქმებულს. ასევე, თუ პირი იმავე დარღვევას ჩაიდენს 1 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ყოველ განმეორებით შემთხვევაში ჯარიმა გააორმაგოს.
- პროექტით განსაზღვრულია ჯარიმები 2,000 ლარიდან 200,000 ლარამდე კონკრეტული დარღვევისთვის.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი. 05/03/2026

ცვლილებები კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესში

- 2026 წლის 3 თებერვალს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესში ცვლილებები მიიღო.
- ცვლილებებით გაფართოვდა იმ მონაცემების ჩამონათვალი, რომლებიც მიკრობანკებმა და კომერციულმა ბანკებმა უნდა წარადგინონ პილარ 3-ის ანგარიშგებაში.
- ცვლილებების მიხედვით, მიკრობანკები და კომერციული ბანკები ვალდებულები ხდებიან პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში წარადგინონ ინფორმაცია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების შესახებ და ხარისხობრივი ინფორმაცია სქესის ნიშნით.
- ცვლილებების თანახმად, მიკრობანკები და კომერციული ბანკები ვალდებულები ხდებიან პილარ 3-ის კვარტალურ ანგარიშგებაში წარადგინონ სქესის ნიშნით ჩაშლილი მონაცემებიც.
- ცვლილებები ძალაში შევიდა 2026 წლის 5 თებერვალს.

ცვლილებები სპეციალური დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებით

- 2026 წლის 6 მარტს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №999 ბრძანებაში ცვლილებები ამოქმედდა.
- ცვლილებები შეეხო მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსების მინიჭების და ადმინისტრირების წესებს.
- ცვლილებით დაზუსტდა მიკრო ბიზნესის სტატუსის შეწყვეტისა და მცირე ბიზნესის სტატუსზე გადასვლის კონკრეტული შემთხვევები.
- ცვლილებებით განისაზღვრა სხვადასხვა სცენარი საგადასახადო ორგანოსთვის შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის და შემოსავლის ყოველწლიური ზღვრის გადაჭარბების მიხედვით.
- ცვლილებით დაზუსტდა მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭების განსხვავებული წესი. კერძოდ, სტატუსი აქტიურად ჩაითვლება მინიჭების დღიდან, განსხვავებით აქამდე მოქმედი რედაქციისაგან, რომლის მიხედვითაც სტატუსი ძალაში შედიოდა მინიჭების მომდევნო თვის დასაწყისიდან.
- ბრძანებაში შევიდა სხვა ტექნიკური და რედაქციული ცვლილებები.
- ცვლილებები ძალაში შევიდა 2026 წლის 6 მარტს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 06/02/2026

ცვლილებები საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით

- 2026 წლის 24 თებერვალს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მიიღო ბრძანება №52 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ცვლილება აყალიბებს საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციას ასახვის ახალ წესს. ცვლილებების შედეგად მოგების გადასახადის ყოველწლიურ დეკლარაციაში და მოგების გადასახადის მარტის თვის ყოველთვიურ დეკლარაციაში დაემატა ახალი დანართები რომლებშიც აისახება მონაცემები საანგარიშო პერიოდის (წლის) განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ.
- აღნიშნული დანართები ივსება იმ პირების მიერ, რომელთა მიერ შესაბამის პერიოდში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების მოცულობა 500 000 ლარს აღემატება.
- მონაცემები, რომლებიც უნდა აისახოს აღნიშნულ დანართებში მოიცავს ურთიერთდამოკიდებული პირების მონაცემებს, დამოკიდებულების ფორმას, კონტროლირებული ოპერაციის ტიპს, ოპერაციის მოცულობას, კრედიტორული/დებიტორული დავალიანების ნაშთს და სხვა ინფორმაციას.
- ცვლილების შედეგად №996 ბრძანებაში დამატებულია აღნიშნული დანართების შევსების მაგალითებიც.
- ცვლილება ძალაში შევიდა 2026 წლის 25 თებერვალს. .

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 25/02/2026

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტატო ჩანტლაძე
მმართველი პარტნიორი
შპს „იუაი“
კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი
ტელ: +995 (32) 215-88-11
Tato.Chantladze@ge.ey.com

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელენე სულხანიშვილი
უფროსი მენეჯერი
შპს „იუაი“
კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი
ტელ: + 995 599 135 363
Elene.Sulkhanishvili@ge.ey.com

საკონტაქტო ინფორმაცია:

ზაქარია შველიძე
Of Counsel
შპს „იუაი“
კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი
ტელ: + 995 593 322 727
Zakaria.Shvelidze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდელობის კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2026 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

http://www.ey.com/georgia